

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის გიმნაზია

---

„გ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს  
ხარაგაულის წმინდა ანდრია  
პირველწოდებულის  
სახელობის გიმნაზიის რექტორი,  
მარგვეთისა და უბისის ეპარქიის  
ეპისკოპოსი მელქისედეკი (ხაჩიძე)  
ბრძანება (ცვლილება) №02/2; 09.01.2023 წელი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია  
პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის  
შ ი ნ ა გ ა ნ ა წ ე ს ი

ხარაგაული  
2023 წელი

ბრძანება №02/2; 09.01.2023 წელი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის გიმნაზია

---

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის გიმნაზიის  
შ ი ნ ა გ ა ნ ა წ ე ს ი

თავი I - ზოგადი დებულება

**მუხლი 1. მოქმედების სფერო**

1. შინაგანაწესი აწესრიგებს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიაში (შემდგომში „გიმნაზია“) საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს, აგრეთვე მასწავლებელთა, მოსწავლეთა, მშობელთა და დასაქმებულთა საქმიანობის წარმართვის წესებს;
2. შინაგანაწესში განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო ან/და სასწავლო პროცესის დაწყებისა და დამთავრების დრო, დასვენების პერიოდი, სამუშაოზე მიღებისა და განთავისუფლების წესი, დასაქმებულის სამუშაოსა და შრომის ანაზღაურების პირობები - გაცემის დრო და ადგილი, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების მიცემის წესი და ხანგრძლივობა, შრომის დაცვის, წახალისებისა და დისციპლინური გადაცდომების, სახდელთა გამოყენების, განცხადება-საჩივრის განხილვისა და სხვა სპეციალური (მასწავლებელთა და მოსწავლეთა უფლებები, მოვალეობები, ქცევის წესები, გიმნაზიის მართვის, მოსწავლის გიმნაზიაში ჩარიცხვისა და გადაყვანის პირობები) წესები.

**მუხლი 2. შინაგანაწესში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებანი**

**ადმინისტრაცია** - მენეჯერები, სპეციალისტები, მოძღვარი, ექიმი, საქმისმწარმოებელი, ფსიქოლოგი;  
**ადმინისტრაციის დამხმარე და ტექნიკური პერსონალი** - ბიბლიოთეკარი, მძღოლი, დარაჯი, დამლაგებელი;

**ავტორიზაცია** – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა;

**აღმასრულებელი დირექტორი** - გიმნაზიის აღმასრულებელი ორგანო;

**დამატებითი ინდივიდუალური მუშაობა** – ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებით დადგენილი ვაკვეთილების (საათების) გარდა, მასწავლებლის მუშაობა ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მისაღწევად;

**დირექცია** - რექტორის აპარატი, რომელიც უზრუნველყოფს რექტორისა და აღმასრულებელი დირექტორის დავალებათა და გადაწყვეტილებათა (ბრძანებების, განკარგულებების, საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სამართლებრივი აქტებისა და რეგულაციებს) აღსრულებას;

**დისციპლინური გადაცდომა** - გიმნაზიის შინაგანაწესით განსაზღვრული წესების დარღვევა;

ბრძანება №02/2; 09.01.2023 წელი

**ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის გიმნაზია**

---

- დისციპლინური სახდელი** - გიმნაზიის შინაგანაწესით განსაზღვრული წესების გადაცდომისათვის გათვალისწინებული ზემოქმედების ზომა;
- ეროვნული სასწავლო გეგმა** – დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ზოგადი განათლების ყველა საფეხურისათვის საათების განაწილებას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებსა და რეკომენდაციებს, მოსწავლეთა აუცილებელ და მაქსიმალურ დატვირთვას, იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალს, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველი საფეხურის დამთავრებისას და ამ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენის საშუალებების აღწერას;
- ვაუჩერი** – სახელმწიფოს მიერ მოსწავლისათვის გადაცემული, მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება გამოშვებული იქნეს როგორც მატერიალიზებული, ისე არამატერიალიზებული ფორმით და რომელიც განკუთვნილია პროგრამის ათვისების დასაფინანსებლად;
- ზოგადი განათლება** – განათლება, რომლის მიზანია საქართველოს მოქალაქის აღზრდა და მომზადება ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. საქართველოში სრული ზოგადი განათლება მოიცავს 12 წელს;
- თვითშეფასება** – გიმნაზიის მიერ მიმდინარე სასწავლო პროცესის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტთან, ეროვნულ სასწავლო გეგმებთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ნორმატივებთან შესაბამისობის შემოწმება. თვითშეფასების პროცესში მონაწილეობენ გიმნაზიის მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები;
- ინკლუზიური განათლება** – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეთა ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად;
- კვალიფიკაცია** – კონკრეტულ შრომით საქმიანობაში პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციათა ფლობის დონე;
- კვალიფიკაციის ამაღლება** – სწავლის პროცესი, რომლის მიზანია გარკვეულ სფეროში კვალიფიკაციის მქონე პირის მიერ დამატებით ახალი პროფესიული ცოდნის შეძენა და უნარ-ჩვევების დახვეწა;
- კლასი** – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა დროებითი, სულ მცირე ერთი სასწავლო წლის განმავლობაში შენარჩუნებული ერთიანობა, რომელიც შედგენილია ეროვნულ სასწავლო გეგმებში მოცემული რეკომენდაციებისა და ამ დაწესებულების წესდების მიხედვით და რომელში გაერთიანებული მოსწავლეებიც ძირითადად ერთად სწავლობენ ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს;
- მასწავლებელი/პედაგოგი** – მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთ საგანს მაინც ასწავლის; სპეციალური მასწავლებელი; შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებული პირი, რომელიც პედაგოგიურ საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ შესაბამისად;
- მასწავლებლის პროფესიული განვითარების პორტფოლიო** – მასწავლებლის პროფესიული მომზადების, უწყვეტი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული საქმიანობის

## ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

ანალიზის, შეფასებისა და პროფესიული წარმატებების დამადასტურებელი დოკუმენტების ერთობლიობა;

**მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი** – პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევების, ღირებულებებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა მასწავლებელი;

**პედაგოგიური საქმიანობა** – მასწავლებლის მიერ მოსწავლეებთან საგაკვეთილო და დამატებითი ინდივიდუალური მუშაობა;

**პროფესიული გადამზადება** – სწავლების პროცესი, რომლის მიზანია მოიცვას ადრე მიღებულისაგან განსხვავებული პროფესიული ცოდნის შეძენა და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავება, რაც განპირობებულია პროფესიული საქმიანობის ხასიათისა და შინაარსის შეცვლის აუცილებლობით;

**რექტორი** - გიმნაზიის ხელმძღვანელი, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობით უფლებამოსილების ერთპიროვნულად და მესამე პირებთან ურთიერთობაში განმახორციელებელი პირი;

**სასკოლო სასწავლო გეგმა** – სასწავლო გეგმა, რომელიც კონკრეტული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის აზუსტებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ დატვირთვას აუცილებელი და მაქსიმალური დატვირთვის ფარგლებში; განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურებას, აგრეთვე გიმნაზიაში მიმდინარე საგანმანათლებლო ღონისძიებებს;

**სერტიფიცირება** – მასწავლებლისათვის პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭება ან/და განახლება;

**გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო** – გიმნაზიის მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო;

**სპეციალისტი** - პირი, რომელსაც მიენიჭა პროფესიული განათლების ერთ-ერთი საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომი (სერტიფიკატი).

**შრომითი ხელშეკრულება** - ვადიანი, უვადო, წერილობითი ან ზეპირი ფორმა, რომელიც იდება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის.

## თავი II. გიმნაზიის მისია და მართვა

### მუხლი 3. გიმნაზიის მისია

ზოგადი განათლების სამივე - დაწყებითი, საბაზო, საშუალო სფეხურებზე ხარისხიანი, სრულფასოვანი, აკადემიური განათლების მიცემა, ზნეობრივად ჯანსაღი თაობის აღზრდა, მოზარდის შესაძლებლობების გამოვლენა-განვითარებაში ხელშეწყობა, სწავლა-სწავლების ეფექტური, მშვიდი, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა, სწავლისათვის საჭირო პოზიტიური დამოკიდებულების, სამყაროს შემეცნების მიმართ ინტერესის ჩამოყალიბება და იმ უნარ-ჩვევების გამომუშავებაში ხელშეწყობა, რომლებიც მნიშვნელოვანია მისი მუდმივი განათლებისათვის, მომავალი გზის სწორად არჩევისა და შრომის ბაზარზე

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის გიმნაზია

---

არჩევანის გაკეთებისათვის; იქნება ტოლერანტი, ქვეყნის საკუთარი და სხვისი ინტერესების დამცველი მოქალაქე.

**გიმნაზიის ხედვა**

ზოგადი განათლების სამივე - დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე, დისციპლინაზე დაფუძნებული, მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაში ხელშეწყობა, სულიერი ღირებულებების ჩამოყალიბება, გიმნაზიის განახლებული სასწავლო პროგრამებითა და გამართული ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა, რომელიც ფეხდაფეხ მიჰყვება ინოვაციებს, სრული ზოგადი განათლების მქონე მოზარდის მომზადება საჭირო ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, რაც დაეხმარება კურსდამთავრებულებს გააკეთონ სწორი არჩევანი მომავალი ცხოვრების გზაზე დამოუკიდებელი ცხოვრებასა და საზოგადოებაში დამკვიდრებისათვის. პოზიტიური, უსაფრთხო, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა.

გიმნაზიას, საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის, აქვს მიზანი და ამოცანები, კერძოდ:

**მიზანი**

- ზოგადი განათლების მიცემა მოსწავლეთათვის დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე;
- მოსწავლეების აღზრდა ეროვნულ-კულტურული, სულიერი და ტრადიციული ღირებულებების შესაბამისად;
- მოსწავლეთა პროფესიული კარიერის დაგეგმვაში ხელშეწყობა;
- თანამედროვე ინფრასტრუქტურის მოწყობა, პოზიტიური, უსაფრთხო, მოსწავლეზე ორიენტირებული სასკოლო სასწავლო გარემოს შექმნა;
- კლასის მართვის ეფექტიანი სტრატეგიების გამოყენება;
- მოსწავლეებში გუნდური და თანამშრომლობითი უნარების განვითარებაში ხელშეწყობა;
- მოსწავლეებისათვის თვითრეალიზაციისა და თვითგამოხატვის შესაძლებლობის მიცემა;
- მოსწავლეების აღზრდა ეროვნულ-კულტურული, სულიერი და ტრადიციული ღირებულებების შესაბამისად და მათთვის ხარისხიანი განათლების მიღებაში ხელშეწყობა;
- სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული, სწავლებისა და აღზრდის სტანდარტზე დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;
- მოსწავლეთათვის წინაპირობების შექმნა, რათა მათ სწორად აირჩიონ თავისი მომავალი განვითარების გზა;
- სსსმ მოსწავლეთათვის განათლებაში ხელშემწყობი გარემოს შექმნა;

## ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

- მოსწავლეებში მოქალაქეობრივი აზროვნების განვითარებაში ხელშეწყობა;
  - კონფლიქტის პრევენციისა და მოგვარების ეფექტიანი სტრატეგიების ცოდნა და გამოყენება.
- ამოცანები**
- სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული, სტანდარტზე დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე დანერგვა და განხორციელება;
  - მოზარდისათვის თვითაქტუალიზაციის შესაძლებლობების მიცემა;
  - მოსწავლეებისათვის ინფორმაციის მოპოვებაში ხელშეწყობა;
  - სოციალური დაცვის მიზნით, ეპიდემიის არსებული რისკ-ფაქტორების შესწავლა-მართვა, ოჯახური პრობლემებით გამოწვეული პრობლემების მოგვარებაში დახმარება;
  - დაინტერესებული მოსწავლეებისათვის თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა;
  - გიმნაზიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, ეპიდემიისათვის საჭირო საშუალებებით აღჭურვა ასეთის არსებობის შემთხვევაში;
  - მოსწავლისათვის ცნობისმოყვარეობის, კითხვების დასმისა და მოსმენის უნარის გავითარება;
  - მოსწავლისათვის თვითრწმენის, თავდაჯერებულობის ჩამოყალიბება-განვითარებაში ხელშეწყობა;
  - ორგანიზატორული ჩვევების მიცემა;
  - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით ტრენინგების ორგანიზება.

### მუხლი 4. გიმნაზიის მართვა

1. გიმნაზიას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მართვის სტრუქტურა, გიმნაზიას მართავს რექტორი, სასწავლო - საადმინისტრაციო პროცესის მართვას არეგულირებს აღმასრულებელი დირექტორი, დირექტორის მოადგილე, დირექცია, ადმინისტრაცია და დანარჩენი პერსონალი;
2. რექტორი ამტკიცებს შინაგანაწესს, დებულებას, გრძელვადიან/ექვსწლიან სტრატეგიულ გეგმას, ხარჯთაღრიცხვას და ბიუჯეტს ერთწლიანი განვითარებისა და მიმდინარე პრევენციულ ღონისძიებთა გეგმებს და სასკოლო სასწავლო გეგმას;
3. გიმნაზიის აღმასრულებელ დირექტორს ნიშნავს და ანთავისუფლებს გიმნაზიის რექტორი;
4. გიმნაზიის რექტორის საქმიანობის საგანი მოცემულია ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის წესდებაში, რომელიც ერთვის შინაგანაწესს და არის შინაგანაწესის ნაწილი;

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის გიმნაზია

5. გიმნაზია სარგებლობს კანონმდებლობითა და წესდებით მინიჭებული უფლებებით, განსაზღვრავს გიმნაზიის შინაგანაწესს, დებულებას, რექტორის საქმიანობის წესს და დასაქმებულთა უფლება-მოვალეობებს;
6. რექტორი უფლებამოსილია შეიმუშაოს და გამოსცეს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები/ბრძანებები/რეგულაციები;
7. რექტორი უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილებები გიმნაზიის ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებში/ბრძანებებში და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში;
8. შიდა და გარე შეფასებების, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცედურების განხორციელების მიზნით შექმნას კომისია, შემდგომში გამოკითხვის ჩასატარებლად;
9. დაამტკიცოს საშტატო განრიგი და შეიტანოს ცვლილებები მასში;
10. გიმნაზიის რექტორი უფლებამოსილია დადოს შრომითი და ურთიერთ-თანამშრომლობითი მემორანდუმები, ხელშეკრულებები დასასაქმებელ პერსონალთან, მშობლებთან და სხვა პირებთან/დაწესებულებებთან, საქართველოს კანონმდებლობის დაცვით;
11. გიმნაზია ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, 20 დეკემბრამდე ატარებს ინვენტარიზაციას, რისთვისაც რექტორი, ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით/ბრძანებით ქმნის საინვენტარიზაციო კომისიას.
12. გიმნაზიის რექტორს უფლება აქვს:
  - ა) უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვადასხვა სახის საქმიანობის განხორციელება, გარდა ისეთი საქმიანობისა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, პედაგოგიური ეთიკის ნორმებს და არ არის საზიანო სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვისათვის;
  - ბ) განახორციელოს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგნობრივი ან/და წრეობრივი, ფასიანი ან/და სხვა მომსახურება სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად;
  - გ) განახორციელოს საგანმანათლებლო სახის სხვა მომსახურება მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე, მის მიერ შერჩეულ საგანში/საგნებში;
13. გიმნაზიის სტრუქტურული თანამდებობრივი ერთეულების ფუნქციები, უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობები წარმოდგენილია გიმნაზიის დებულებაში;
14. გიმნაზიის ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების სფეროებია:
  - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა -
    - ✓ დაწყებითისაფეხური - I – VI კლასები;
    - ✓ საბაზო საფეხური - VII – IX კლასები;
    - ✓ საშუალო საფეხური - X – XII კლასები;
15. გიმნაზიის მართვის თანამდებობრივი სტრუქტურული ერთეულებია:
  - ა. დირექცია;
  - ბ. ადმინისტრაცია;
  - გ. დამხმარე-ტექნიკური პერსონალი.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის გიმნაზია

16. გიმნაზიაში დღის პირველ ნახევარში (9<sup>00</sup> – 15 სთ.) ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმით და სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნის/საგნების სწავლება არჩევითი ბლოკის გათვალისწინებით. ასევე, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ან/და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო - საადმინისტრაციული მომსახურება, ხოლო დღის მეორე ნახევარში (15<sup>00</sup> – 17<sup>30</sup>) ხორციელდება გახანგრძლივებული ჯგუფის საქმიანობა;
17. გიმნაზიის კოლექტივი, ყველა პედაგოგი, მუშაკი, მოსწავლე და მშობელი ვალდებულია დაიცვას გიმნაზიის შინაგანაწესი.

**თავი III. თანამშრომელთა მიღება-დათხოვნის წესი, სამუშაო დრო, დასვენება, შვებულება, მივლინება, წახალისება, დისციპლინური/ადმინისტრაციული სახდელები**

**მუხლი 5. გიმნაზიაში თანამშრომელთა მიღება-დათხოვნის წესი**

1. გიმნაზიაში დასაქმების მსურველთა სამუშაოზე მიღება ხდება გასაუბრების ან/და ვაკანსიებზე (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) ღია და შიდა კონკურსის გამოცხადების შემდეგ, გიმნაზიის ბრძანების „ ვაკანსიებზე კონკურსის ჩატარების წესის, პირობების, საკონკურსო კომისიის ფუნქციებისა და კომისიის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მოქმედი კანონმდებლობის დაცვით;
2. დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის შრომითი ურთიერთობის ხელშეკრულება ან/და წინარე შრომითი ურთიერთობის ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით ან/და გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი;
3. მუშაკის დასაქმებაზე რექტორის მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება რექტორის ნება მუშაკის სამუშაოზე მიღება/განთავისუფლებაზე, უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადება-მოშლას, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას, ურთიერთგამომრიცხავი პირობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება კანონს;
4. დირექციის/რექტორის ინიციატივით ხელშეკრულებაში შესაძლო ცვლილებების შესახებ მუშაკს ეცნობება 5 დღით ადრე, მუშაკის უარის თქმის შემთხვევაში ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად;
5. გიმნაზიის თანამშრომელი თავისუფლდება სამუშაოდან შრომითი ხელშეკრულების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვადის გასვლის დღიდან, თუ მასთან რექტორი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) არ განაახლებს ხელშეკრულებას;
6. რექტორი უფლებამოსილია გიმნაზიაში დასაქმებულთან ცალმხრივად/ერთპიროვნულად შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა;
7. თანამშრომელთა მიღება-დათხოვნის წესი წარმოდგენილია შრომითი ურთიერთობის ხელშეკრულებაში.

**შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლებია:**



ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის გიმნაზია

- ა) შვებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო, ბავშვის მოვლის, შვილად აყვანის ან/და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო;
- ბ) დროებით შრომისუუნარობა, თუ მისი ვადა არ აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა არ აღემატება 60 კალენდარულ დღეს;
- გ) კვალიფიკაციის ამაღლება, პროფესიული გადამზადება თუ მისი ვადა არ აღემატება 40 კალენდარულ დღეს ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა არ აღემატება 60 კალენდარულ დღეს.

**ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:**

- ა) შრომის ხელშეკრულების ვადის გასვლა;
- ბ) ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომელიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას;
- გ) მხარეთა ურთიერთშეთანხმება;
- დ) დასაქმებულის მიერ საკუთარი ინიციატივით შრომის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა;
- ე) ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევა;
- ვ) „დასაქმებულის“ მიერ მისთვის ხელშეკრულებით ან/და შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა, თუ „დასაქმებულის“ მიმართ გამოყენებულ იქნა ხელშეკრულებით ან/და შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა;
- ზ) დასაქმებული პირის გარდაცვალება;
- თ) ავტორიზაციის შეჩერება/გაუქმება;
- ი) გიმნაზიის რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია;
- კ) მობილობის შედეგად ფინანსური კლასების შეერთება, ფორსმაჟორი/პანდემია და სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტას;
- ლ) ორგანული კანონის, შრომის კოდექსით დადგენილი წესი ან/და სხვა ობიექტური მიზეზი/ები.

- 8. პედაგოგის კვირეული დატვირთვა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილია, განისაზღვრება გიმნაზიის საგნის/საგნობრივი ჯგუფის კათედრების მიერ, გიმნაზიის რექტორთან, აღმასრულებელ დირექტორთან და დირექტორის მოადგილესთან კონსულტაციების შემდეგ, ტარიფიკაციის შედგენამდე ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შედგენილი სასკოლო-სასწავლო გეგმის საფუძველზე ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა;
- 9. სასკოლო სასწავლო გეგმას ამტკიცებს რექტორი, აღმასრულებელი დირექტორისა და აღმასრულებელი დირექტორის მოადგილესთან განხილვის შემდეგ;
- 10. გიმნაზიაში სამუშაოზე მისაღებად მუშაკი ვალდებულია წარმოადგინოს:
  - ✓ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი;
  - ✓ CV - რეზიუმე;

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის გიმნაზია

---

- ✓ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი);
  - ✓ 2 ც. ფოტოსურათი 3X4 და დისკზე ჩაწერილი;
  - ✓ პროფესიული კვალიფიკაციის/სერთიფიკირების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (საჭიროებისამებრ);
  - ✓ მიღებული სერთიფიკატები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
  - ✓ ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის“ ნასამართლეობის შესახებ;
  - ✓ შრომის წიგნაკი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი (დირექციის მოთხოვნით ასეთის არსებობის ცალკეულ შემთხვევაში);
11. გიმნაზიაში მუშაკის სამუშაოზე მიღება/თანამდებობის დაკავება ხორციელდება შინაგანაწესის, დებულების, ხელშეკრულებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
  12. სამუშაოზე მიღების ან/და გადაყვანისას დირექცია ვალდებულია მუშაკს გააცნოს შინაგანაწესი, დებულება, განუმარტოს უფლება-მოვალეობანი, სამუშაოს ხანგრძლივობისა და შრომის, მათ შორის ზეგანაკვეთური სამუშაოსა და ანაზღაურების პირობები;
  13. გიმნაზიაში პერსონალის სამუშაოზე მიღება ხორციელდება ხელშეკრულების ან/და რექტორის ინდივიდუალური-ადმინისტრაციული სამართლებლივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე;
  14. მუშაკს სამუშაოს გაცდენის დღე/დღეები, არაუმეტეს ერთი თვისა, შეიძლება ჩაეთვალოს საპატიოდ, გაცდენილი დღე/დღეები არ აუნაზღაურდება;
  15. მუშაკის გაცდენილი სამუშაოს საპატიოდ ჩათვლისა და სახელფასო ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რექტორი ან/და აღმასრულებელი დირექტორი რექტორთან შეთანხმებით, რაც დასტურდება მუშაკის განცხადებაზე რექტორის რეზოლუციით და შესაბამისად რექტორის ინდივიდუალური სამართლებლივი აქტით (ბრძანებით);
  16. გიმნაზიაში დასაქმებული ყველა მუშაკი ვალდებულია დაიცვას შრომითი, სასწავლო და საშემსრულებლო დისციპლინა;
    - ✓ დროულად და ზუსტად შეასრულოს დირექციის მითითებები;
    - ✓ სამსახურებრივი პოზიციის დატოვების ან/და განთავისუფლების შესახებ დირექციას აცნობოს 5 დღით ადრე, ხოლო საქმიანობის დროებით შეწყვეტის შესახებ 10 დღით ადრე;
    - ✓ დაიცვას წესდებით, შინაგანაწესით, დებულებითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;
    - ✓ დაუგვიანებლად გამოცხადდეს სამსახურში;

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის გიმნაზია

- ✓ რექტორის მოთხოვნის შემთხვევაში წარმოადგინოს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ;
- ✓ დაიცვას წესრიგი გიმნაზიაში;
- ✓ ეკონომიურად ხარჯოს წყალი, ელექტროენერგია;
- ✓ უზრუნველყოს შენობისა და ინვენტარის მოვლა, ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების წესების დაცვა;
- ✓ იყოს კორექტული.

17. აღმასრულებელი დირექტორი, როგორც გიმნაზიის ყოველდღიური საქმიანობის წარმმართველი, უფლებამოსილია განახორციელოს საკადრო ცვლილებები გიმნაზიის რექტორთან შეთანხმებით და შესაძლო განთავისუფლების შესახებ დასაქმებული გააფრთხილოს 1 თვით ადრე;
18. დასაქმებულს, დირექციის მიერ შესაძლო განთავისუფლების შესახებ 1 თვით ადრე გაფრთხილების შემთხვევაში, ანაზღაურება არ მიეცემა.

**მუხლი 6. სამუშაო დრო და პირობები, წახალისება;**

1. გიმნაზიაში დასაქმებულთა სამუშაო დრო განისაზღვრება კვირის ხუთი დღის განმავლობაში, გიმნაზიის მიერ შედგენილი კალენდრის შესაბამისად, დასაქმებულთა სამუშაო დრო განისაზღვრება კვირაში არაუმეტეს 40 საათისა. დასვენების დღეებია შაბათი და კვირა, ასევე ორგანული კანონით, საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი უქმე დღეები;
2. ექვსდღიანი, შაბათის ჩათვლით სწავლება დასაშვებია თუ სკოლას გაუთვალისწინებელი (ფორსმაჟორი, სარემონტო სამუშაოები და სხვა) მიზეზების გამო, გაუცდა სასწავლო დღე/დღეები;
3. სასწავლო წლის კალენდრის დარღვევა/შეცვლა დასაშვებია და ცვლილებების შეტანა ხდება რექტორის ბრძანებით აუცილებლობის შემთხვევაში;
4. გიმნაზიაში სასწავლო პროცესი წარიმართება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანების გათვალისწინებით, ფორსმაჟორისა და შინაგანაწესის მიხედვით ეპიდემიასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებით;
5. სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად;
6. გიმნაზიაში I გაკვეთილი იწყება 9 საათზე, გაკვეთილებისა და გაკვეთილებს შორის დასვენებების ხანგრძლივობა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმისა და ეპიდემიასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესაბამისად;
7. სრული დატვირთვის არ მქონე/შემთავსებელი თანამშრომლის სამუშაო დღის დაწყება განისაზღვრება საგაკვეთილო ცხრილის მიხედვით;
8. სტრუქტურული ერთეულების, სამუშაოს დაწყება-დამთავრების დრო წარმოდგენილია გიმნაზიის დებულებაში;
9. გახანგრძლივებული ჯგუფის ხელმძღვანელის სამუშაო დრო განისაზღვრება 14 - 17 საათამდე;
10. მუშაკს შეუძლია ისარგებლოს შესვენებით;

**ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის გიმნაზია**

---

11. დირექციის მიერ გიმნაზიაში თანამშრომელთა წახალისება ხორციელდება მოვალეობის კეთილსინდისიერად, სანიმუშოდ და პასუხისმგებლობით შესრულებისათვის, რისთვისაც გამოიყენება:
  - ✓ მაღლობის გამოცხადება ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით;
  - ✓ პრემიის გაცემა;
  - ✓ ფასიანი საჩუქრი;
  - ✓ დიპლომის ან/და სიგელით დაჯილდოვება;
  - ✓ ერთი თვის სახელფასო დანამატი;
12. განსაკუთრებული შრომითი საქმიანობისათვის რექტორს შეუძლია გამოიყენოს წახალისების სხვა ფორმები, წახალისების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აღმასრულებელი დირექტორი რექტორთან შეთანხმებით.

**მუხლი 7. დასვენების დრო, შვებულება, მივლინება**

1. მუშაკის დასვენების დღეებია შაბათი და კვირა, ასევე, ორგანული კანონით, საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი უქმე დღეები და საეკლესიო კალენდრით გათვალისწინებული საუფლო დღესასწაულები. გამონაკლისი დაიშვება რექტორის გადაწყვეტილებით ფორსმაჟორის შემთხვევაში;
2. „დასაქმებულს“ შვებულება მიეცემა საქართველოს ორგანული კანონის შრომის კოდექსის დაცვით;
3. „დასაქმებული“ შეიძლება გაშვებულ იქნას მივლინებაში გიმნაზიის ინტერესებიდან გამომდინარე, სამუშაოს მოცულობის მიხედვით განსაზღვრული დღეებით, რექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის/ბრძანების შესაბამისად;
4. რექტორის მიერ მუშაკის მივლინებაში გაგზავნა არ მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლად, თუ მივლინების პერიოდი არ აღემატება წელიწადში 45 კალენდარულ დღეს;
5. მივლინებაში ყოფნის პერიოდი ანაზღაურებადია და სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება ხორციელდება სამივლინებო ბარათის წარმოდგენის შემდეგ, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

**მუხლი 8. შრომის ანაზღაურების გაცემის პირობები, ზეგანაკვეთური სამუშაო**

1. შრომის ანაზღაურების გაცემა ხორციელდება „დამსაქმებელსა“ და „დასაქმებულს“ შორის დადებული წერილობითი ხელშეკრულების შესაბამისად და მიმდინარე თვის ხელფასი გაიცემა მომდევნო თვის 05 რიცხვამდე, უნაღლო ანგარიშსწორებით, კვირეული დატვირთვისა და საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად;
2. გიმნაზია ვალდებულია აუნაზღაუროს „დასაქმებულს“ შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაო საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის დაცვით ხელშეკრულების შესაბამისად ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

**ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის გიმნაზია**

---

**მუხლი 9. განცხადების/საჩივრის განხილვის წესი, ადმინისტრაციული სახდელები**

1. განცხადების/საჩივრის განხილვა გიმნაზიაში ხორციელდება განცხადების რეგისტრაციიდან ერთი თვის განმავლობაში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის დაცვით;
2. ადმინისტრაციული სახდელის შესახებ, გიმნაზიაში დასაქმებულთა მიმართ, გადაწყვეტილებას იღებს რექტორი, დარღვევის სიმძიმის შესაბამისად;
3. ადმინისტრაციული სახდელის დადებამდე, შრომის დისციპლინის დამრღვევ პირს მოეთხოვება ახსნა-განმარტება დარღვევის ფაქტზე;
4. ადმინისტრაციული სახდელების სახეები და გამოყენების წესი დანართის სახით ერთვის შინაგანაწესს;
5. დამრღვევი პირის მიმართ, ბრძანებაში მითითებული ვადის განმავლობაში, არ გამოიყენება წახალისების მექანიზმები.

**მუხლი 10. შრომის დისციპლინა**

1. შრომის დისციპლინა გიმნაზიაში რეგულირდება შინაგანაწესით, დებულებით მასწავლებელთა და მოსწავლეთა ქცევის კოდექსებით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით;
2. გიმნაზიაში „დასაქმებულის“ მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის არაჯეროვნად, არაკეთილსინდისიერად შესრულების, შრომის დისციპლინის, ეთიკის ნორმების დარღვევისა და საქმისადმი უპასუხისმგებლო მიდგომისათვის დირექცია ღებულობს ადმინისტრაციულ ზომებს, ხოლო მოსწავლის მიმართ იყენებს დისციპლინურ სახდელებს.  
მასწავლებლების მიმართ გამოსაყენებელი ადმინისტრაციული ზომები:
  - ✓ გაფრთხილება ზეპირი/წერილობითი ფორმით;
  - ✓ საყვედური;
  - ✓ სასტიკი საყვედური;
  - ✓ ხელფასის დაქვითვა, არაუმეტეს დარიცხული ხელფასის 10%-ის;
  - ✓ სამსახურიდან განთავისუფლება.
3. შრომის დისციპლინის ყოველი დარღვევისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ ერთი სახდელი;
4. სამსახურეობრივი მოვალეობის არაჯეროვნად, არაკეთილსინდისიერად შესრულება საშემსრულებლო დისციპლინის, ეთიკის ნორმების დარღვევად მიიჩნევა:
  - ა) დირექციის ან/და დასაქმებული პერსონალისათვის სიტყვიერი ან/და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება;
  - ბ) მოსწავლის მიმართ არაეთიკური, შეურაცხმყოფელი მიმართვა;
  - გ) სამსახურის არასაპატიო მიზეზით გაცდენა ან/და მრავლობითი დაგვიანება;
  - დ) გიმნაზიისათვის საჭირო ინფორმაციის, მათ შორის პირადი მონაცემების არასწორი მიწოდება;
  - ე) სამუშაო საათების პერიოდში არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადება;
  - ვ) საზოგადოებაში აღიარებული ზნეობრივი ნორმების დარღვევა;

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის გიმნაზია

ზ) გიმნაზიის იმიჯის შელახვა;

5. გიმნაზიის თანამშრომელს ეკრძალება თამბაქოს მოხმარება გიმნაზიის ტერიტორიაზე და საგაკვეთილო პროცესის დროს მობილურის გამოყენება.
6. ეპიდემიის პირობებში არსებული რეკომენდაციების შეუსრულებლობა;

**დაუშვებელია:**

- ა. მასწავლებლის ან/და მოსწავლის მოცდენა მეცადინეობისაგან ისეთი სახის სამუშაოებისათვის, რომელიც არ არის დაკავშირებული სასწავლო პროცესთან;
- ბ. საგაკვეთილო პროცესის დროს სხდომების, კრებების ან/და სხვა თათბირების მოწვევა საზოგადოებრივი საქმეების გამო, გარდა ფორსმაჟორული ვითარებისა;
- გ. მასწავლებლის/მოსწავლის საგაკვეთილო პროცესიდან გამოყვანა პირადი ინტერესებისათვის;
- დ. მასწავლებლისათვის მოსწავლის თანდასწრებით ან/და საგაკვეთილო პროცესის დროს რაიმე სახის შენიშვნის მიცემა;
- ე. მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება დასაშვებია მხოლოდ გიმნაზიის მიერ, საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ, დირექციის გადაწყვეტილების შემდეგ;
- ვ. საგაკვეთილო პროცესის დროს კონკრეტული საგნის მასწავლებლისა და საგანგებო სიტუაციების შტაბის წარმომადგენლის გარდა, სხვა პირის შესვლა დაუშვებელია დირექციასთან შეთანხმების გარეშე; პანდემიის პირობებში უცხო პირთა შესვლა შესაძლებელია ვიზიტორთა წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით.
- ზ. საგაკვეთილო პროცესის დაწყების შემდეგ საკლასო ოთახში შესვლის უფლება აქვს მხოლოდ დირექციის წარმომადგენელსა და საგანგებო სიტუაციების შტაბის წარმომადგენელს.

**მუხლი 11. მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის უფლება-მოვალეობები და დისციპლინური კომიტეტის არჩევის წესი**

**1. მოსწავლეს უფლება აქვს:**

- ა) მიიღოს ზოგადი - დაწყებითი, საბაზო, საშუალო განათლება სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში და სტანდარტს ზევით;
- ბ) ისარგებლოს სწავლების შესაძლებლობით, თავისი ინტერესების მიხედვით;
- გ) ჰქონდეს და გამოხატოს საკუთარი აზრი, დაცულ იქნას ყოველგვარი ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფისაგან;
- დ) მიიღოს ინფორმაცია მასწავლებლებისაგან ინდივიდუალურად საკუთარი აკადემიური მოსწრების შესახებ;
- ე) მიმართოს დირექციას შესაძლო კონფლიქტური სიტუაციის მოსაგვარებლად;
- ვ) ისარგებლოს გიმნაზიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, კლას-კაბინეტებით, ბიბლიოთეკით და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით, სპორტული მოედნით, სამედიცინო მომსახურებით;

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის გიმნაზია

- ი)თვითდაფინანსებით ან/და თანადაფინანსებით მონაწილეობა მიიღოს ფასიან საგნობრივ ოლიმპიადებში, კონფერენციებსა და პროექტებში;
- კ)მოსწავლე საგნობრივ ოლიმპიადებში, კონფერენციებსა და პროექტებში მონაწილეობისათვის საგაკვეთილო პროცესიდან თავისუფლდება აღმასრულებელი დირექტორის მოადგილესთან შეთანხმებით.

**2. მოსწავლე ვალდებულია:**

- ა)დაიცვას მოსწავლის ქცევის წესები, რომელიც ხელს უწყობს საკუთარი ქცევების მართვის, დისციპლინის, ურთიერთპატივისცემის, გიმნაზიაში კეთილგანწყობილი და უსაფრთხო გარემოს დამკვიდრებას; პანდემიის პირობებში დაიცვას სკოლის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.
- ბ)გიმნაზიაში გამოცხადდეს დაუგვიანებლად, გაკვეთილის დაწყებამდე 30 წუთით ადრე;
- გ)დაესწროს ყველა გაკვეთილს საგაკვეთილო ცხრილის შესაბამისად;
- დ)წარუდგინოს კლასის დამრიგებელს წერილობითი ახსნა-განმარტება, ერთი გაკვეთილის გაცდენის შემთხვევაშიც კი;
- ე)გიმნაზიაში გამოცხადდეს მშობლებთან შეთანხმებული გიმნაზიის მიერ დადგენილი ფორმით, იქონიოს წყალი, ცარცი, კონტეინერით საკვები;
- ვ)გიმნაზიაში განსაზღვრულ ადგილზე დატოვოს მობილური ტელეფონი;
- ზ)პატივისცემით მოეპყრას თანაკლასელებს/გოგონებს, იყოს თავაზიანი, თავი შეიკავოს ცილისმწამებლური ან/და დამცინავი განცხადებებისაგან;
- თ)პატივისცემით მოეპყრას ტექნიკური პერსონალის შრომას, დაიცვას სისუფთავე და გაუფრთხილდეს გიმნაზიის ინვენტარს, ეკონომიურად ხარჯოს წყალი, ელენერგია;
- ი)იქონიოს საჭირო სასწავლო ნივთები საგაკვეთილო ცხრილის შესაბამისად;
- კ)გიმნაზიაში დაიცვას წესრიგი და უსაფრთხოების წესები;
- ლ)მოსწავლე ვალდებულია იცოდეს, რომ მის მიერ გიმნაზიისათვის მიყენებულ მატერიალურ ზარალს ანაზღაურებს მშობელი/მშობლის კანონიერი წარმომადგენელი;
- მ)გაუფრთხილდეს და დააბრუნოს ყველა ის ნივთი (სახელმძღვანელო და სხვა), რომელსაც გიმნაზია მას დროებითი სარგებლობისათვის გადასცემს, ხოლო ნივთის დაკარგვის ან/და დაზიანების შემთხვევაში, ზარალი ანაზღაურდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ;

**3. მოსწავლეს ეკრძალება:**

- ა)საგაკვეთილო პროცესზე დაგვიანებით გამოცხადება;
- ბ)გაკვეთილის/გაკვეთილების გაცდენა;
- გ)სასწავლო/საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას მასწავლებლისათვის ხელის შეშლა;
- დ)გიმნაზიის აღჭურვილობის/ინვენტარის თვითნებურად, დაუდევრად სარგებლობა-გამოყენება;
- ე)დასვენებაზე ყვირილი, ჭიდაობა, ჩხუბი, უცენზური გამონათქვამები;

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის გიმნაზია

- ვ)გიმნაზიის ქონების გაფუჭება/დაზიანება, საკლასო ოთახების, დერეფნებისა და გიმნაზიის ეზოს ტერიტორიის დანაგვიანება, სხვისი ქონების მითვისება/მოპარვა;
- ზ)გიმნაზიაში ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთებისა და ნივთიერებების შემოტანა;
- თ)კლასის დამრიგებლის ნებართვის გარეშე გაკვეთილების დატოვება ან/და შესვენებაზე გიმნაზიის შენობიდან გასვლა, ტერიტორიის დატოვება;
- ი)საღეჭი რეზინის, მზესუმზირის შემოტანა-მოხმარება;
- კ)თამბაქოს მოხმარება, ნარკოტიკული, ალკოჰოლური და ნაკლებად ალკოჰოლური საშუალებების შემოტანა/გამოყენება;
- ლ)მობილური ტელეფონის, ვიდეო/აუდიო ჩანაწერებისა და ასაფეთქებლების, ე.წ. „ხლოპუმპების“ შემოტანა/გამოყენება.
4. მოსწავლეს დისციპლინური დარღვევისათვის ეკისრება დისციპლინური სახდელი;
  5. დირექცია, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილია მოსწავლის მიმართ გამოიყენოს დისციპლინური სახდელის შესაბამისი ფორმა გიმნაზიის შინაგანაწესის დადგენილი წესით, ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურით;
  6. დისციპლინური დევნისას გიმნაზია ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს მშობელს და განუმარტოს მოსწავლეს, მასწავლებელს, მოსწავლის მიერ ჩადენილი გადაცდომის არსი;
  7. მოსწავლის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას დისციპლინურისახდელები, კერძოდ:
    - ა)გაფრთხილება ან/და შენიშვნა;
    - ბ)საჯაროდ ბოდიშის მოხდა;
    - გ)საყვედური;
    - დ)გაკვეთილიდან გაძევება;
    - ე)სასტიკი საყვედური;
    - ვ)გიმნაზიისათვის სასარგებლო მირ შერჩეული სამუშაოს შესრულება;
    - ზ)გიმნაზიიდან დროებით დათხოვნა ან/და გარიცხვა;
    - თ)წრებში, კლასგარეშე ღინისძიებებში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევა.
  8. მოსწავლე შეიძლება გაკვეთილიდან გაძევებული იქნას გაკვეთილის ჩაშლის მცდელობისათვის, რა დროსაც მოსწავლე, საგნის მასწავლებლის მიერ, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილესთან შეთანხმებით, იგზავნება ბიბლიოთეკაში ან/და სათადარიგო კლასში, სადაც ამზადებს მომდევნო დღის გაკვეთილებს. (მასზე მეთვალყურეობა ევალება კლასის დამრიგებელს ან/და ბიბლიოთეკარს);
  9. გაკვეთილიდან გაძევებული მოსწავლის დაუმორჩილებლობა, ჩაითვლება არასაპატიო გაცდენად. აღნიშნულის შესახებ ეცნობება მშობელს და დისციპლინურ კომიტეტს;
  10. გიმნაზიისათვის სასარგებლო სამუშაოს შესრულება გულისხმობს – ეზოს, საკლასო ოთახის, ბიბლიოთეკის ან შენობის რომელიმე მონაკვეთის მოვლა-პატრონობაში



ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის გიმნაზია

მონაწილეობას არა საგაკვეთილო პერიოდში – გაკვეთილების დაწყებამდე ან გაკვეთილების შემდეგ. სასარგებლო სამუშაოს შესრულების დაკისრებაზე გადაწყვეტილებას იღებს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე რექტორთან შეთანხმებით;

11. მოსწავლის გიმნაზიიდან 5 დღით დათხოვნა მოხდება, თუ:

ა) მოსწავლე სკოლის ტერიტორიაზე ან/და შენობაში შენიშვნის მიცემის შემდეგ განაგრძობს თამბაქოს მოწევას;

ბ) მიღებული აქვს გაფრთხილება ან/და საყვედური;

გ) განაგრძობს დისციპლინის უხეშ დარღვევას გაკვეთილზე ან/და გაკვეთილის ჩაშლის მცდელობას;

დ) სისტემატურად არასაპატიო მიზეზით აცდენს გაკვეთილებს;

ე) აბულინგებს და უხეშად ეპყრობა თანატოლებს.

12. „მოსწავლის გიმნაზიიდან 10 დღით დათხოვნა მოხდება, თუ:

ა) „მოსწავლე სასწავლო წლის განმავლობაში 5 დღით უკვე დათხოვნილი იყო გიმნაზიიდან და კვლავ განაგრძობს მე-11 კუნქტით გათვალისწინებულ დარღვევებს“;

13. „მოსწავლის საგაკვეთილო პროცესიდან 5 დღით დათხოვნის გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს რექტორს, 10 დღით დათხოვნის ან „გიმნაზიიდან“ გარიცხვისა – რექტორს დისციპლინურ კომიტეტზე ფარული კენჭისყრით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე;“

14. სახდელის განსაკუთრებული ფორმა – გიმნაზიიდან გარიცხვა, დასაშვებია თუ მოსწავლე:

ა) სასტიკი საყვედურის მიღების შემდეგ ჩაიდენს ისეთ ქმედებას, რაც იმსახურებს დისციპლინურ სახდელს;

ბ) სისტემატურად უხეშად არღვევს დისციპლინას;

გ) სისტემატურად აცდენს გაკვეთილებს დაუდევრობით;

დ) მასწავლებელს მიაყენებს შეურაცხყოფას ან/და დაემუქრება მას რაიმე ფორმით;

ე) მოსწავლეს მიაყენებს უხეშ ფიზიკურ შეურაცხყოფას ან/და დაემუქრება მას რაიმე ფორმით;

ვ) გიმნაზიაში გამოცხადდება ნასვამ მდგომარეობაში ან/და ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ;

ზ) გიმნაზიას მიაყენებს მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს.

15. გიმნაზიის მიერ ორგანიზებულ კლასგარეშე ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება ჩამოერთმევა მოსწავლეს დისციპლინური გადაცდომის ყველა შემთხვევაში;

16. სახდელის მოქმედების ვადა დგინდება რექტორის მიერ, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 10 დღეს.

17. საჩივარი არ განიხილება, თუკი მასში არ არის მითითებული შემდეგი რეკვიზიტები:

ა. განმცხადებლის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილისა და ტელეფონის ნომრის მითითებით;

ბ. უფლების დარღვევის არსი;

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის გიმნაზია

გ. მოთხოვნის არსი.

18. დისციპლინური გადაცდომების საქმეებს, კერძოდ გიმნაზიისათვის სასარგებლო შრომა, გიმნაზიიდან დროებითი დათხოვნა, გარიცხვა - საკითხს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც 3 წლის ვადით აირჩევა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე თანაბარი რაოდენობის - მასწავლებელი, მოსწავლე (საბაზო და საშუალო საფეხური) და მშობელი - შემადგენლობით;
19. უფლების დარღვევის შესახებ მიღებული ინფორმაციის შემდეგ მასწავლებელს და მშობელს უფლება აქვთ წერილობითი საჩივრით მიმართონ გიმნაზიის ადმინისტრაციას ორი კვირის განმავლობაში, რომელიც განიხილება შეტანიდან ორი კვირის ვადაში და მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გიმნაზიის რექტორთან.
20. გიმნაზიის მოსწავლის მშობელს/მშობლის კანონისმიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს ყველა ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და შვილის აკადემიური მოსწრების საკითხებს.
21. მოსწავლის მშობელი/მშობლის კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია:
  - ა) დაიცვას გიმნაზიის შენაგანაწესი;
  - ბ) ითანამშრომლოს მასწავლებლებთან, გიმნაზიის დირექციასა და ადმინისტრაციასთან;
  - გ) დამრიგებლის შეტყობინებებთანავე გამოცხადდეს გიმნაზიაში;
  - დ) მოითხოვოს სწავლების მაღალი ხარისხი;
  - ე) იზრუნოს გიმნაზიაში შვილის დროულად/დაუგვიანებლად, მასთან შეთანხმებული და გიმნაზიის მიერ დადგენილი ფორმით, მოწესრიგებულად, ჩანთითა და სასწავლო პროცესისათვის საჭირო ნივთებით გაკვეთილებისათვის მომზადებულად გამოცხადებაზე, რათა თავიდან აიცილოს მოსწავლის მიმართ დისციპლინურ სახდელეებში გათვალისწინებული „აკრძალვები“;
  - ვ) არ დაუშვას შვილის მიერ გაკვეთილის დაუდევრობით გაცდენა;
  - ზ) შვილის ავადმყოფობის შესახებ დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია კლასის დამრიგებელს;
  - თ) აანაზღაუროს შვილის მიერ გიმნაზიისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი;
  - ი) პანდემიის პირობებში სიცხის ან სხვა ნიშნის გამოვლენის შემთხვევაში მოსწავლე არ გაუშვას სკოლაში, მაგრამ აცნობოს კლასის დამრიგებელს და დაიცვას სკოლის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

**მუხლი 12. მასწავლებლის უფლებები, ვალდებულებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები**

- ა) „გიმნაზიაში“ საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო საქმიანობას ახორციელებს საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი და გახანგრძლივებული ჯგუფის - II ცვლის ხელმძღვანელი;
- ბ) მასწავლებლის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია, მასწავლებელი მუშაობას წარმართავს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, „გიმნაზიის“ წესდებით,

## ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

- შინაგანაწესით, წინამდებარე დებულებით და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში;
- გ) თანამშრომლობს დირექციასა და ადმინისტრაციასთან, კოლეგებთან, მოსწავლეთა მშობლებთან და დასაქმებულ პირებთან, ითვალისწინებს მათ წინადადებებს;
- დ) იცავს „გიმნაზიის“ წესდებებს, შინაგანაწესსა და დებულებას, „გიმნაზიასთან“ დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ზრუნავს „გიმნაზიის“ იმიჯისათვის,;
- ე) „გიმნაზიის“ მასწავლებელს უფლება აქვს აირჩიოს და არჩეულ იქნას პედაგოგიურ საბჭოში წევრად ან/და თავჯდომარედ;
- ვ) მონაწილეობას დებულობს „გიმნაზიის“ მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა სასწავლო შემოქმედებით და კლასგარეშე ღონისძიებებში;
- ზ) მასწავლებელი გამოირჩევა „გიმნაზიას“ და „გიმნაზიის“ გარეთ სამაგალითო, ღირსეული ქცევითა და მაღალი მორალური თვისებებით;
- თ) ახორციელებს „გიმნაზიის“ წესდებით, შინაგანაწესით, წინამდებარე დებულებით და აღმასრულებელი დირექტორის დავალებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის დაცვით;
- ი) ეცნობა „გიმნაზიის“ შინაგანაწესს, იცავს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით, „გიმნაზიის“ დებულებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნებს, შრომისა და საშემსრულებლო დასციპლინას;
- კ) შეუძლია ისარგებლოს შვებულებით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ლ) „გიმნაზიის“ მასწავლებელი „გიმნაზიაში“ ცხადდება საგაკვეთილო პროცესის დაწყებამდე 20 წუთით ადრე;
- მ) ზრუნავს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ხელს უწყობს მშობელთა ჩართულობას სასკოლო და სკოლისგარეშე, სასწავლო შემოქმედებით ღონისძიებებში;
- ნ) საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი სასწავლო წლის დაწყებისას ამზადებს საგნის სასწავლო გეგმას (საგნის თემატიკის, პროგრამისა და სტანდარტის მიხედვით, დროში გაწერილი საათები, წლის განმავლობაში განსახილველი თემები, რომელშიც საათები, მათ შორის სარეზერვო (რომლებიც გამოიყენება მასალის განმტკიცების ან/და შემცენებითი ღონისძიებისათვის) გადანაწილებულია თითოეულ თემაში შემავალი საკითხები, თემის დასრულებისას გამოსაყენებელი აქტივობები და სასწავლო მეთოდები, შეფასების ფორმა, კრიტერიუმები, სახელმძღვანელოები, რესურსები, მოსალოდნელი შედეგები, კერძოდ: თემა და მასში შემავალი საკითხები, თემის მოკლე აღწერა საათების რაოდენობა თემის ბოლოს მისაღწევი შედეგი ძირითადი აქტივობები, კრიტერიუმები და მეთოდები რესურსები, შეფასების სისტემა), ყოველი კვირის პარასკევს აბარებს დამრიგებელს კვირის განმავლობაში საგანმანათლებლო სააღმზრდელო საქმიანობის შესახებ ანგარიშს და ინფორმაციას განმავითარებელი ან/და განმსზაღვრელი შეფასების შესახებ;
- ო) გააკვეთილის დაწყებიდან 1-10 წუთის განმავლობაში ახდენს მოსწავლეთა აღრიცხვას და აფიქსირებს ელექტრონულ ჟურნალში, დროულად, უხარვეზოდ და ხარისხიანად აწარმოებს

## ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

სასკოლო დოკუმენტაციას, ყოველი სამუშაო დღის ბოლოს შეაქვს ელექტრონულ ჟურნალში შეფასება/კომენტარები, გაცდენა და სხვა ინფორმაცია მოსწავლის შესახებ;

პ)ზრუნავს თითოეული მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე და მისი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, სასწავლო პროცესის განმავლობაში მოსწავლის ჯანმრთელობის პირადი უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვაზე;

ჟ)ემზადება თითოეული გაკვეთილისათვის, ეფექტურად ახორციელებს სასწავლო პროცესს, პერიოდულად იმაღლებს პროფესიულ კვალიფიკაციას, არის კორექტული, იცავს და უზრუნველყოფს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მითითებული მოთხოვნების შესრულებას, თანამშრომლობს კოლეგებთან, მშობლებთან საგანმანათლებლო სფეროს, სხვადასხვა ორგანიზაციებთან და წარმომადგენლებთან;

ო)„გიმნაზიაში“ მის მიერ საგაკვეთილო პროცესის მოსალოდნელი გაცდენების შესახებ, სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერს აცნობებს გაკვეთილის დაწყებამდე მინიმუმ 30 წუთით ადრე, რათა შესაძლებელი გახდეს მისი ჩანაცვლება სხვა პედაგოგით;

პ)უფრთხილდება „გიმნაზიის“ ქონებას, იცავს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებს, მიზანმიმართულად იყენებს „გიმნაზიის“ რესურსებს - ეკომონიურად ხარჯავს ელექტროენერგიას, წყალს;

### 5.8.1. მასწავლებელს ეკრძალება:

ა)მოსწავლის, მშობლის/მშობლის კანონიერი წარმომადგენლის, თანამშრომლების, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა;

ბ)მოსწავლეზე ემოციური და ფსიქოლოგიური ზეწოლა, მოსწავლის პირად ცხოვრებაში ჩარევა და მათი გამოყენება პირადი ან/და პოლიტიკური ინტერესებისათვის;

გ)„გიმნაზიის“ ტერიტორიაზე თამბაქოსა და ალკოჰოლური თრობის ქვეშ ყოფნა, ალკოჰოლური სასმელის შემოტანა-მოხმარება, ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ ყოფნა ან/და შემოტანა-მოხმარება;

დ)გაკვეთილზე დაგვიანება ან/და არასაპატიო მიზეზით გაცდენა, თვითნებურად სამუშაო გრაფიკის და საგაკვეთილო ცხრილის, გაკვეთილებისა და გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობის შეცვლა, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილესთან შეუთანხმებლად.

### 5.8.2. გახანგრძლივებული ჯგუფის/დამატებითი მომსახურების (მეორე ცვლის) ხელმძღვანელი

ა)„გიმნაზიის“ ჰყავს გახანგრძლივებული ჯგუფის/დამატებითი მომსახურების (მეორე ცვლის) ხელმძღვანელი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მომზადებას გაკვეთილების შემდეგ;

ბ)გახანგრძლივებული ჯგუფის ხელმძღვანელზე ვრცელდება მე-8 და 8.1. პუნქტებით გათვალისწინებული მასწავლებლის ვალდებულებები და პასუხისმგებლობები;

გ)გახანგრძლივებული ჯგუფის (მეორე ცვლის) ხელმძღვანელი ხელს უწყობს მოსწავლეთა საგაკვეთილო მასალის მომზადებას მომდევნო სასწავლო დღისათვის;

დ) იცავს „გიმნაზიის“ წესდებას, შინაგანაწესს და წინამდებარე დებულებას;

## ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

- ე)ახორციელებს დღის მეორე ნახევარში საკლასო ოთახის ინვენტარისა და იერსახეზე მონიტორინგს და სასწავლო პროცესის ბოლოს ხელს უწყობს მოსწავლეთა ტრანსპორტით ორგანიზებულად გამგზავრებას;
- ვ)პასუხისმგებელია მოსწავლეთა შორის პიროვნული ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე;
- თ)ახორციელებს მონიტორინგს მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესისათვის მზადყოფნის თაობაზე;
- ზ)ახორციელებს „გიმნაზიის“ წესდებით, შინაგანაწესით, წინამდებარე დებულებით და სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერის დავალებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

### თავი III. სასკოლო სასწავლო გეგმა

#### მუხლი 13. სასკოლო გეგმის შემუშავება და მიღება

1. სასკოლო სასწავლო გეგმას, ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე, არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, ამტკიცებს;
2. სამუშაო ჯგუფი სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისას ხელმძღვანელობს ეროვნული სასწავლო გეგმით და ითვალისწინებს მოსწავლეებისა და მშობლების კანონიერ ინტერესებს.

#### მუხლი 14. სასკოლო სასწავლო გეგმა

1. გიმნაზიის სასკოლო სასწავლო გეგმა სრულად წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაში;
2. გიმნაზიის დირექცია ვალდებულია დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი საკითხები, კლასის დამრიგებლის საშუალებით, გააცნოს მოსწვლეებსა და მშობლებს არაუგვიანეს სასწავლო წლის დაწყებიდან პირველი კვირის ბოლომდე და უზრუნველყოს სრული ვერსიის თანაბარი ხელმისაწვდომობა დაინტერესებულ პირთათვის.

#### მუხლი 15. გიმნაზიაში მოსწავლეთა ჩარიცხვა

1. გიმნაზიაში ზოგადიგანათლების დაწყებით საფეხურზე, კერძოდ I კლასში სწავლის დაწყების ასაკი განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციებისა და ნორმატიული აქტის შესაბამისად, რომელსაც სრულად ითვალისწინებს გიმნაზია;
2. გიმნაზიაში ბავშვის მისაღებად მშობელმა/მშობლის კანონისმიერმა პირმა უნდა წარმოადგინოს სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.
3. სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოსვლის შემთხვევაში მოსწავლის შესაბამის კლასში ჩასარიცხად მშობელის/მშობლის კანონიერმა პირმა უნდა წარმოადგინოს სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დოკუმენტაცია;

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის გიმნაზია

4. მოსწავლეთა ჩარიცხვა გიმნაზიაში ხორციელდება მოსწავლის პირადი საქმის მიღებისთანავე, რექტორის ბრძანების საფუძველზე;
5. პირველ კლასში ჩარიცხულ ყველა მოსწავლეზე იხსნება პირადი საქმე, რომელსაც ენიჭება ნომერი ალფავიტური წიგნის მიხედვით;
6. გიმნაზიის თითოეულ კლასში მოსწავლეთა მინიმალური რაოდენობაა 6, ხოლო მაქსიმალური - 20 მოსწავლე.

**მუხლი 16. მოსწავლის კლასიდან-კლასში, საფეხურიდან საფეხურზე გადაყვანა**

1. მოსწავლის კლასიდან კლასში, საფეხურიდან საფეხურზე გადაყვანა ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კრიტერიუმებისა და პროცედურების დაცვით, საბოლოო შეფასების საფუძველზე, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად;
2. მოსწავლემ კლასიდან კლასში გადასაყვანად საჭიროა დააგროვოს წლიური შეფასების მინიმუმ 5.0 ქულა;
3. კლასიდან კლასში გადასაყვანად ერთი საგნის დამლევის მინიმალური ბარიერია 5 ქულა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსწავლეს ეძლევა საშემოდგომო გამოცდა წინასწარ შედგენილი, რექტორის მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, რომელსაც ჩააბარებს საგნის პედაგოგის მიერ მიცემული დავალების საფუძველზე;
4. საშემოდგომო გამოცდის ნიშანი იძენს საგნის წლიური ნიშნის სტატუსს;
5. მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერება ან/და შეწყვეტა ხდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;

**თავი VI. გიმნაზიის ურთიერთობა სასკოლო საზოგადოებასთან**

**მუხლი 17. გიმნაზიისა და მოსწავლის მშობლის/მშობლის კანონიერ წარმომადგენელს შორის ურთიერთობა**

1. გიმნაზია ზრუნავს მოსწავლის, მშობლის/მშობლის კანონიერ წარმომადგენელს შორის თანამშრომლობასა და საქმიან ურთიერთობაზე, საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფაზე;
2. გიმნაზიას შემუშავებული აქვს მშობლის/მშობლის კანონიერ წარმომადგენელს შორის ურთიერთობის მექანიზმები;
3. მასწავლებელს, მშობელს თუ მოსწავლეს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ დირექციის მიერ ორგანიზებული კლასგარეშე, სასწავლო პროცესისათვის მნიშვნელოვან ღონისძიებებზე.

**თავი VII. გიმნაზიის დირექცია და ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭო**

**მუხლი 18. დირექციისა და ადმინისტრაციის უფლება-მოვალეობანი**

1. დირექცია და ადმინისტრაცია ორიენტირებულია გიმნაზიაში სასწავლო პროცესის, სასკოლო და კლასგარეშე ღონისძიებების მაღალი ხარისხით განხორციელების ორგანიზებაზე, რისთვისაც:
  - ა) თანამშრომლობს გიმნაზიის მასწავლებლებთან, მოსწავლეთა მშობლებთან/მშობლის კანონიერ წარმომადგენელთან და დასაქმებულ პერსონალთან და აწყობს მათთან ინდივიდუალურ ან/და ჯგუფურ შეხვედრებს;

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის გიმნაზია

ბ) უზრუნველყოფს სასკოლო დისციპლინის დაცვას ისეთი ხერხებით და მეთოდებით, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოსწავლის, მასწავლებლის, მოსწავლის მშობლის/მშობლის კანონიერი წარმომადგენლისა და სკოლაში დასაქმებულთა თავისუფლებისა და ღირსების დაცვას, პატივისცემას;

გ) უზრუნავს გიმნაზიაში უსაფრთხო ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი, პოზიტიური სასკოლო სასწავლო/სამუშაო გარემოს შექმნისათვის, ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეებს (ასეთის შემთხვევაში) განათლების მიღებას;

დ) განსაზღვრავს განათლების განვითარების პოლიტიკას და სტრატეგიას;

ე) ხელს უწყობს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების - წესდება, შინაგანაწესი, დებულება და სხვა დაცვას;

ვ) გიმნაზიას უფლება აქვს, სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების მიზნით, ჩაატაროს გამოკითხვები (მოსწავლეთა, მასწავლებელთა, დამრიგებელთა, მშობელთა) რელევანტური წესით, შემდგომში მათ მიერ გამოხატული, გიმნაზიისათვის მისაღები აზრის/წინადადებების გასათვალისწინებად;

ზ) დირექცია უფლებამოსილია მასწავლებლები გამოიყენოს მორიგეებად - სასწავლო პროცესის დაწყებამდე, რომელსაც ამტკიცებს რექტორი;

თ) გიმნაზიის დირექციისა და ადმინისტრაციის წევრები თანამშრომლობენ და პატივისცემით ეპყრობიან გიმნაზიაში დასაქმებულ ყველა პირს, იცავენ მორალურ და ზნეობრივ ნორმებს.

**შენიშვნა:** დირექციისა და ადმინისტრაციის წევრათა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები დეტალურად წარმოგდენილია გიმნაზიის დებულებაში.

**მუხლი 19. პედაგოგიური საბჭო**

გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო არის მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო.

1. პედაგოგიურ საბჭოში ყველა მასწავლებელი და მასწავლებლობის მაძიებელი სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი;
2. საბჭოს წევრთა ერთ მესამედს და რექტორს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოიწვიონ პედაგოგიური საბჭოს სხდომა, მოითხოვონ მათი წარმომადგენლის მოსმენა;
3. პედაგოგიურ საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა 3 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე იწვევს და წარმართავს საბჭოს სხდომებს;
4. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში პედაგოგიური საბჭოს სხდომას წარმართავს პედაგოგიური საბჭოს მდივანი;
5. პედაგოგიურ საბჭოს კომპეტენციის საკითხებზე იქმნება ცალკეული სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ასრულებენ საბჭოს დავალებებს და ანგარიშვალდებულნი არიან მის წინაშე;
6. პედაგოგიური საბჭო გადაწყვეტილებას იღებს პედაგოგიური საბჭოს წევრთა ხმების უმრავლესობით, არანაკლებ საერთო ხმების ერთი მესამედისა, მოწვეულები კენჭისყრაში არ მონაწილეობენ, სარგებლობენ სათათბირო ხმის უფლებით;
7. პედაგოგიური საბჭოს მდივანი აირჩევა ხმათა უმრავლესობით 3 წლის ვადით;

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის გიმნაზია

---

8. პედაგოგიური საბჭოს მდივანი თავმჯდომარესთან ერთად ადგენს სხდომის დღის წესრიგს და სხდომის ჩატარებამდე განათავსებს თვალსაჩინო ადგილზე;
9. პედაგოგიური საბჭოს მდივანი სხდომის მიმდინარეობისას აკეთებს საოქმო ჩანაწერს;
10. პედაგოგიური საბჭოს მდივანი ვალდებულია სხდომის დამთავრებიდან ათი დღის განმავლობაში დაასრულოს ოქმი და დაბეჭდილ ფორმატზე უზრუნველყოს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე დამსწრეთა ხელმოწერების დაფიქსირება.

**19.1. პედაგოგიური საბჭოს ფუნქციები**

- ა) ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, განიხილავს სასკოლო სასწავლო გეგმას;
- ბ) საჭიროების შემთხვევაში, რექტორთან შეთანხმებით ამტკიცებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას;
- გ) განიხილავს და ამტკიცებს კათედრის თავმჯდომარეებისა და დამრიგებლების სამუშაო გეგმებს;
- დ) პედაგოგიური საბჭო უფლებამოსილია განიხილოს გიმნაზიის შინაგანაწესი, დებულება, პრევენციული ღონისძიებების გეგმა, განვითარების ერთწლიანი და გრძელვადიანი გეგმები, რომლებსაც ამტკიცებს გიმნაზიის რექტორი;
- ე) პედაგოგიური საბჭო, განიხილავს საფეხურებისა და საგნების შესაბამისად სასწავლო მასალას/რეურსებს, მათ შორის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გრიფინიჭებულ, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელ სახელმძღვანელოების ნუსხას, ხოლო თემატური გეგმები/პროგრამები განიხილება/ამტკიცდება აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის მიერ;
- ვ) პედაგოგიური საბჭო სასწავლო წლის განმავლობაში ტარდება მინიმუმ სამჯერ;
- ზ) პედაგოგიური საბჭოს რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნას პელსაბჭოს წევრთა ერთი მესამედის ან/და რექტორის მიერ სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე;
- თ) პედაგოგიურ საბჭოზე ხმის უფლებით სარგებლობს ყველა პედაგოგი, ხოლო სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობენ მოწვეულები;
- ი) პედაგოგიურ საბჭოზე დასწრებისა და მონაწილეობის მიღება შეუძლია საშუალო საფეხურის მოსწავლეს/მოსწავლეებს, მშობელს/მშობლებს.

**თავი VIII. გიმნაზიის ვალდებულება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დარღვევებისათვის**

**მუხლი 20. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა**

- 20.1. გიმნაზიაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების 64-ე მუხლით გათვალისწინებული „წესის დარღვევის“ შემთხვევაში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის/დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება, ეკისრება



ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის გიმნაზია

---

გიმნაზიის აღმასრულებელ დირექტორს, უსაფრთხოების სპეციალისტს და ფსიქოლოგს;

20.2. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა გამოიხატება შემდეგში:

- ა) სამსახურეობრივი მოვალეობის არაჯეროვნად, არაკეთილსინდისიერად შესრულება;
- ბ) შრომის დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დარღვევა;
- გ) საქმისადმი უპასუხისმგებლო მიდგომა;
- დ) ანონიმური/კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება;
- ე) პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევები;
- ვ) სამუშაოზე მრავალჯერადი არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა;

20.3. სამემსრულებლო დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დარღვევად მიიჩნევა:

- ა) დირექციის ან/და დასაქმებული პერსონალისათვის სიტყვიერი ან/და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება;
- ბ) მოსწავლის მიმართ არაეთიკური, შეურაცხმყოფელი მიმართვა; გ) სამსახურის არასაპატიო მიზეზით გაცდენა ან/და მრავლობითი დაგვიანება;
- დ) გიმნაზიისათვის საჭირო ინფორმაციის, მათ შორის პირადი მონაცემების არასწორი მიწოდება;
- ე) სამუშაო საათების პერიოდში არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადება;
- ვ) საზოგადოებაში აღიარებული ზნეობრივი ნორმების დარღვევა;
- ზ) გიმნაზიის იმიჯის შელახვა;
- თ) ეპიდემიის პირობებში არსებული რეკომენდაციების შეუსრულებლობა;
- ი) შრომითი ხელშეკრულებით, დებულებით და შინაგანაწესით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობა ან/და არასათანადოდ შესრულება;

20.4. შრომის დისციპლინის ყოველი დარღვევისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ ერთი სახდელი;

20.5. ადმინისტრაციული ან/და შრომის დისციპლინის დარღვევისათვის გიმნაზიაში გამოიყენება სახდელის შემდეგი სახეები:

- ა) გაფრთხილების/შენიშვნის მიცემა ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით;
- ბ) შენიშვნა;
- გ) საყვედური - ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით;
- დ) სასტიკი საყვედური - ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით;
- ე) ხელფასის დაქვითვა, არაუმეტეს დარიცხული ხელფასის 10%-ის;
- ვ) სამუშაოდან დათხოვნა;

20.6. შრომის დისციპლინის ყოველი დარღვევისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ერთი სახდელი;

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის გიმნაზია

---

- 20.7.ადმინისტრაციული სახდელისას გამოიყენება პროპორციული გადაცდომის პროპორციული სახდელი;
- 20.8.გაცდენად ითვლება სამუშაოზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა მთელი სამუშაო დღის განმავლობაში ან/და გაკვეთილის გაცდენა, აგრეთვე არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადება;
- 20.9.დაწინაურების შესაძლებლობის შეზღუდვა გარკვეული პერიოდით; უფრო დაბალი რანგის თანამდებობაზე გადაყვანა, სამსახურებრივ მოვალეობასთან დროებით ჩამოშორება (ხელფასის მიცემის შესაძლებლობით);
- 20.10.ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებამდე შრომის დისციპლინის დამრღვევს მოეთხოვება წერილობითი ახსნა–განმარტება, უფლებამოსილია გამოიყენოს თავისი მოსაზრებები და არგუმენტები თავის დასაცავად;
- 20.11.ადმინისტრაციული ან/და შრომის დისციპლინური დარღვევისათვის სახდელის გამოყენებაზე გამოიცემა რექტორის ბრძანება;
- 20.12.მუშაკს, მის მიმართ გამოყენებულ ადმინისტრაციულ ან/და შრომის დისციპლინის დარღვევის შესახებ, ბრძანებას აცნობს საქმისმწარმოებელი, რაც დასტურდება ხელმოწერით;
- 20.13.ადმინისტრაციული სახდელი „სამუშაოდან დათხოვნა“ გამოიყენება იმ მუშაკის მიმართ, რომელიც სასტიკი საყვედურის გამოცხადების მიუხედავად, განაგრძობს შრომითი ხელშეკრულებით, დებულებით და შინაგანაწესით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევას, არასაპატიო მიზეზით აცდენს სამსახურს;
- 20.14.ადმინისტრაციული ზომების მიღებისას მხედველობაში მიიღება გადაცდომის ხასიათი და სიმძიმე, პასუხისმგებლობის ხარისხი, წარსულში ჩადენილი გადაცდომის ხასიათი;
- 20.15.შესაძლებელია ადმინისტრაციული სახდელი ვადამდე მოხსნას თუ იგი 3 თვიდან 2 წლამდე ვადაში არ ჩაიდენს ახალ გადაცდომას და თავს გამოიჩენს როგორც კეთილსინდისიერი დასაქმებული.
- 20.16.სახდელის გაქარწყლების პერიოდად განსაზღვრულია 1 წელი.

გავეცანით და ვეთანხმებით: გიმნაზიაში დასაქმებული თანამშრომელები, მშობლები, მოსწავლეები, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

შინაგანაწესის დანართი

**პედაგოგთა მიერ ადმინისტრაციული დარღვევებისათვის  
გამოსაყენებელი სახდელები**

შრომის დისციპლინის დარღვევა დასაქმებულის მიზეზით, მასზე დაკისრებული შრომითი მოვალეობის შეუსრულებლობა ან/და არასათანადო შესრულება იწვევს მასზე (დასაქმებულზე) ადმინისტრაციული სახდელის დადებას.

1. ადმინისტრაციული ან/და შრომის დისციპლინის დარღვევისათვის გიმნაზიაში გამოიყენება სახდელის შემდეგი სახეები:
  - ა) გაფრთხილების/შენიშვნის მიცემა ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით;
  - ბ) საყვედური - ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით;
  - გ) სასტიკი საყვედური - ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით;
  - დ) სამუშაოდან დათხოვნა.
2. ადმინისტრაციულ ან/და შრომის დისციპლინის დარღვევად ითვლება შრომითი ხელშეკრულებით, დებულებით და შინაგანაწესით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობა ან/და არასათანადოდ შესრულება;
  - ა) გაკვეთილზე დაგვიანებით შესვლა;
  - ბ) გაკვეთილიდან ზარის დარეკვამდე გამოსვლა;
  - გ) გაკვეთილის გაცდენა ან/და შეუთანხმებლად, თვითნებურად, პირადი შეხედულებისამებრ სამუშაო გრაფიკის/საგაკვეთილო ცხრილის, გაკვეთილებისა და გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობის შეცვლა/გადანაცვლება.
3. შრომის დისციპლინის ყოველი დარღვევისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ერთი სახდელი;
4. გაცდენად ითვლება სამუშაოზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა მთელი სამუშაო დღის განმავლობაში ან/და გაკვეთილის გაცდენა, აგრეთვე არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადება;
5. ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებამდე შრომის დისციპლინის დამრღვევს მოეთხოვება წერილობითი ახსნა-განმარტება;
6. ადმინისტრაციული ან/და შრომის დისციპლინური დარღვევისათვის სახდელის გამოყენებაზე გამოიცემა რექტორის ბრძანება;
7. მუშაკს, მის მიმართ გამოყენებულ ადმინისტრაციულ ან/და შრომის დისციპლინის დარღვევის შესახებ, ბრძანებას აცნობს საქმეთამმართველი, რაც დასტურდება ხელმოწერით;
8. ადმინისტრაციული სახდელი „სამუშაოდან დათხოვნა“ გამოიყენება იმ მუშაკის მიმართ, რომელიც სასტიკი საყვედურის გამოცხადების მიუხედავად, განაგრძობს შრომითი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის გიმნაზია

---

ხელშეკრულებით, დებულებით და შინაგანაწესით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევას, არასაკატიო მიზეზით აცდენს ან/და არ ატარებს გაკვეთილებს.